2-10347/23
26-06-2023

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საქართველოს პარლამენტის წევრების დავით სონღულაშვილის, ირაკლი კირცხალიას, გოჩა ენუქიძის, ბეჟან წაქაძის, გელა სამხარაულის, ლევან მგალობლიშვილის, რამინა ბერაძის, ანტონ ობოლაშვილის, ირმა ზავრადაშვილისა და ეკა სეფაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07- 3/327; 24.05.2023).

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა შემუშვდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნაში მითითებული „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის ხარვეზების აღმოფხვრის რეკომენდაციების საფუძველზე.

საკანონმდებლო ინიციატივა უკავშირდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. შესაბამისად, ვალდებულებების შესრულების ვადებისა და საკითხის მნიშვნელობიდან გამდომდინარე, მიზანშეწონილია საკანონმდებლო ინიციატივა მიღებულ იქნას 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება წარმოდგენილი კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით სონღულაშვილი

პარლამენტის წევრი
ირაკლი კირცხალია

პარლამენტის წევრი
გოჩა ენუქიძე



პარლამენტის წევრი
ბეჟან წაქაძე

პარლამენტის წევრი
გელა სამხარაული



პარლამენტის წევრი
ლევან მგალობლიშვილი



პარლამენტის წევრი
რამინა ბერაძე

პარლამენტის წევრი
ანტონ ობოლაშვილი



პარლამენტის წევრი
ირმა ზავრადაშვილი

პარლამენტის წევრი
ეკა სეფაშვილი